



საქართველოს იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორის ბრძანება

N 245/01-01
14/12/2020

245-01-01-4-202012141349



„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
2020- 2021 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ“
რექტორის 2020 წლის 13 ივლისის N132/01-01 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის
თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი
პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის
პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი
ნაწილის, 55-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3
ნაწილების, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის
იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“,
„ო“ და „პ“ ქვეპუნქტების, მე-9 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის
ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2020 წლის 13 ივლისის N132/01-01
ბრძანების პირველ პუნქტში:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შემოდგომის სემესტრი (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გარდა):

ბ.ა) ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 7 აგვისტო - 20 სექტემბერი;

ბ.ბ) აკადემიური რეგისტრაცია - 7-20 სექტემბერი;

ბ.გ) სააუდიტორიო მეცადინეობები - 14 სექტემბერი - 18 ოქტომბერი (სრულად
დისტანციურად), 19 ოქტომბერი - 27 ნოემბერი (პრაქტიკული და

ლაბორატორიული მეცადინეობები არადისტანციურ რეჟიმში, ხოლო სასაწავლო პროცესის სხვა კომპონენტები დისტანციურად“; 28 ნოემბერი - 26 დეკემბერი (მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული/ლაბორატორიული/კლინიკური კომპონენტები შესაძლებელია წარიმართოს არადისტანციურ რეჟიმში, სხვა შემთხვევაში სრულად დისტანციურად);

ბ.დ) საგამოცდო პერიოდი - 18 იანვარი - 10 თებერვალი (დასკვნითი გამოცდები); 16-22 თებერვალი (დამატებითი გამოცდები);

ბ.ე) არდადეგები - 27 დეკემბერი - 17 იანვარი; 23 -28 თებერვალი.“

ბ) „ბ¹“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ¹) შემოდგომის სემესტრი (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი):

ბ¹.ა) ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 7 აგვისტო - 20 სექტემბერი;

ბ¹.ბ) აკადემიური რეგისტრაცია - 7-20 სექტემბერი;

ბ¹.გ) სააუდიტორიო მეცადინეობები - 21 სექტემბერი - 18 ოქტომბერი (სრულად დისტანციურად), 19 ოქტომბერი - 27 ნოემბერი (პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები არადისტანციურ რეჟიმში, ხოლო სასაწავლო პროცესის სხვა კომპონენტები დისტანციურად), 28 ნოემბერი - 2 იანვარი (სრულად დისტანციურად)“;

ბ¹.დ) საგამოცდო პერიოდი - 18 იანვარი - 10 თებერვალი (დასკვნითი გამოცდები), 16-22 თებერვალი (დამატებითი გამოცდები);

ბ¹.ე) არდადეგები - 3 - 17 იანვარი; 23-28 თებერვალი.“

გ) „გ¹“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ¹) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა:

გ¹.ა. პირველსემესტრელთა რეგისტრაცია:

გ¹.ბ. ადმინისტრაციული რეგისტრაცია და ხელშეკრულების გაფორმება - 3-9 სექტემბერი;

გ¹.გ. აკადემიური რეგისტრაცია - 10-14 სექტემბერი.

გ¹.დ. შემოდგომის სემესტრი:

გ¹.ე. ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 7 აგვისტო - 21 სექტემბერი;

გ¹.ვ. აკადემიური რეგისტრაცია - 14 - 21 სექტემბერი;

გ¹.ზ. სააუდიტორიო მეცადინეობები - 21 სექტემბერი - 18 ოქტომბერი (სრულად დისტანციურად), 19 ოქტომბერი - 27 ნოემბერი (პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები არადისტანციურ რეჟიმში, ხოლო სასაწავლო პროცესის სხვა კომპონენტები დისტანციურ რეჟიმში), 28 ნოემბერი - 2 იანვარი (სრულად დისტანციურად)“.

გ¹.თ. საგამოცდო პერიოდი - 18 იანვარი - 10 თებერვალი (დასკვნითი გამოცდები), 16-22 თებერვალი (დამატებითი გამოცდები);

გ¹. ი. არდადეგები - 3 - 17 იანვარი; 23-28 თებერვალი.“

დ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ე) შემოდგომის სემესტრი:

ე.ა) ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 7 აგვისტო - 21 სექტემბერი;

ე.ბ) აკადემიური რეგისტრაცია - 14 - 21 სექტემბერი;

ე.გ) სააუდიტორიო მეცადინეობები - 21 სექტემბერი - 18 ოქტომბერი (სრულად დისტანციურად), 19 ოქტომბერი - 27 ნოემბერი (პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები არადისტანციურ რეჟიმში, ხოლო სასაწავლო პროცესის სხვა კომპონენტები დისტანციურ რეჟიმში), 28 ნოემბერი - 2 იანვარი (მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული/ლაბორატორიული/კლინიკური კომპონენტები შესაძლებელია წარიმართოს არადისტანციურ რეჟიმში, სხვა შემთხვევაში სრულად დისტანციურად)“.

ე.დ) საგამოცდო პერიოდი - 18 იანვარი - 10 თებერვალი (დასკვნითი გამოცდები), 16 - 22 თებერვალი (დამატებითი გამოცდები);

ე.ე) არდადეგები - 3 - 17 იანვარი; 23-28 თებერვალი.

2. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. დაევალოს კანცელარიას, ბრძანება განათავსოს ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე და გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

4. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

გიორგი შარვაშიძე

რექტორი

